ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის
განვითარების ხელშეწყობა

RURAL AND
AGRICULTURAL
POLICY AND
DEVELOPMENT
INSTITUTE

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის შედეგების ანალიზი

თბილისი 2016

კვლევა მომზადდა ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის (ENPARD) ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. არსებული კვლევა განახორციელდა „სოფლის მეურნეობის საგანმანათლებლო და კვლევითი ორგანიზაციების ინსტიტუციონალური გაძლიერების“ პროექტის ფარგლებში, სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა განვითარების ინსტიტუტის ექსპერტის ირაკლი მოისწრაფიშვილის მიერ. კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

		გვ.
1.	კვლევის მოკლე შინაარსი	4
2.	შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის წინაპირობები	6
3.	პროექტის აღწერა	7
	3.1 პროექტის მიზანი და ამოცანები	7
	3.2 პროექტის კომპონენტები	7
4.	პროექტში ჩართული მხარეები	10
5.	პროექტის სტატისტიკური მონაცემების შეჯამება და ანალიზი	11
6.	პროექტის მაკრო ეკონომიკური შედეგების ანალიზი	21
7.	პროექტის მიკრო ეკონომიკური შედეგების ანალიზი	28
8.	შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის მსოფლიო ანალოგები	30
9.	დასკვნები და წინადადებები	33

1. კვლევის მოკლე შინაარსი

2015 წლის ოქტომბრიდან ევროკავშირის მიერ, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის, ENPARD-ის ფარგლებში ფინანსდება „სოფლის მეურნეობის საგანმანათლებლო და კვლევითი ორგანიზაციების ინსტიტუციონალური გაძლიერების“ პროექტი. პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის გაძლიერებას სახელმწიფო სტრუქტურებს, საზოგადოებასა და ფერმერებს შორის თანამშრომლობის პირობებში.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მომზადდა წინამდებარე კვლევა, რომლის მიზანია შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის შედეგების ანალიზი და მისი ეფექტურობის შეფასება. მოცემული პროექტის ინიციატორია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ხოლო განმახორციელებელი - ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო. პროექტის დაწყების თარიღია 2013 წლის 27 მარტი. 2013 წელს აღნიშნული პროექტის დაფინანსება ხდებოდა ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის მიერ, ხოლო 2014 წლის 1 იანვრიდან - სახელმწიფო ბიუჯეტიდან. კვლევის პერიოდი მოიცავს პერიოდს პროექტის დაწყებიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

კვლევა მოიცავდა შემდეგ ეტაპებს: პროექტის დაწყების წინაპირობების მიმოხილვა, პროექტის ძირითადი პირობების აღწერა, პროექტის სტატისტიკური მონაცემების შეჯამება და ანალიზი, პროექტის მაკრო და მიკრო ეკონომიკური შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება პროექტის ეფექტურობის გაზრდისათვის. მოცემულ კვლევაში გამოყენებული იქნა შემდეგი ინფორმაციის წყაროები: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო (moa.gov.ge), სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (apma.ge), საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge) და საქართველოს ეროვნული ბანკი (nbg.gov.ge).

სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოსთვის სტრატეგიული და პრიორიტეტული მიმართულებაა, რომლის განვითარების წინაპირობას წარმოადგენს სასოფლო სამეურნეო პროდუქციის პირველადი წარმოების, გადამუშავების და შენახვა-რეალიზაციის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. აღნიშნულის მისაღწევად, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს მეწარმეთა უზრუნველყოფა იაფი და გრძელვადიანი ფულადი სახსრებით, ასევე ამ სახსრების მიღებისა და დაბრუნების ხელსაყრელი პირობების არსებობა.

სასოფლო სამეურნეო სექტორი ხასიათდებოდა მსგავსი ფინანსური რესურსების სიმცირით/არ არსებობით. ძირითად ხელშემშლელ ფაქტორებს წარმოადგენდა - ფულადი სახსრების დეფიციტი, მაღალი საპროცენტო განაკვეთები, გრძელვადიანი ფინანსური რესურსების შეზღუდულობა, კრედიტის უზრუნველყოფისთვის საჭირო ქონების ნაკლებობა და/ან ამ ქონების დაბალი ღირებულება, საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან სოფლის მეურნეობის სფეროს მაღალრისკიან სფეროდ შეფასება და მათი დაბალი ინტერესი ამ სფეროს მიმართ.

ჩამოთვლილი მიზეზები გვევლინებიან სწორედ იმ ძირითად ხელშემშლელ ფაქტორებად, რომლებიც აგრომეწარმეს (ფერმერს) უზღუდავს ფულად სახსრებზე, განსაკუთრებით კი - დაბალპროცენტიან სესხებზე ხელმისაწვდომობას. არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი, რომლის განხორციელება პარტნიორ საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებთან ერთად დაიწყო 2013 წლის 27 მარტს.

ქვეყანაში არსებული 19 კომერციული ბანკიდან პროექტში ჩაერთო 15 უმსხვილესი ბანკი. აგროკრედიტების გაცემას უზრუნველყოფდნენ კომერციული ბანკები. პროექტების მიღება, განხილვა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა მხოლოდ კომერციული ბანკების მიერ, აღნიშნულ პროცესში სახელმწიფო უწყებების ჩარევის გარეშე.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის დაწყებიდან 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორივე (საბრუნავი და ძირითადი საშუალებების) კომპონენტის ფარგლებში 21,773 ბენეფიციარზე გაცემულია 25,656 სესხი, რომელთა ჯამური მოცულობა შეადგენს 686,058,018 ლარსა და 163,756,073 აშშ დოლარს,

ხოლო აქტიური პორტფელი (გაცემული სესხების ნარჩენი დავალიანება) კი შეადგენს 233,548,571 ლარსა და 101,948,253 აშშ დოლარს. აღსანიშნავია, რომ პროექტის დაწყებამდე, 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში აგრო კრედიტების ჯამური პორტფელი შეადგენდა დაახლოებით 60 მლნ ლარს.

პროექტის ფარგლებში 25,656 გაცემული სესხიდან სახელმწიფო თანადაფინანსების ვადა შეუმცირდა მხოლოდ 88 სესხს, ხოლო შეუწყდა მხოლოდ 173 სესხს, საიდანაც მხოლოდ 2 სესხზე გახდა საჭირო სახელმწიფოს მხრიდან მეორადი უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულება. დანარჩენმა 171 მსესხებელმა გააგრძელა სესხების გადახდა ბანკებში არსებული საკრედიტო (არა შეღავათიანი) პირობების ფარგლებში.

2013-2015 წლებში შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში გახსნილ 139 ახალ საწარმოში შექმნილია 3500-მდე ახალი სამუშაო ადგილი, ხოლო შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში გაფართოებულ და გადაიარაღებულ 665 საწარმოში 10 000-მდე ახალი სამუშაო ადგილი.

პროექტის ბენეფიციარებმა, საქართველოში არსებულმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა, სოფლის მეურნეობის წარმოებაში განახორციელეს 200 მლნ. ლარამდე საკუთარი კაპიტალის ინვესტიცია. 2015 წელს სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელდა 28.8 მლნ აშშ დოლარის ღირებულების პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, რაც 2012 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 1.8-ჯერ აღემატება.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის სხვა ქვეყნების მსგავს პროგრამებთან შედარებისათვის შესწავლილ იქნა ამ მიმართულებით სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება, ისეთების როგორიცაა: ირლანდია, ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, პოლონეთი და ბულგარეთი.

პროექტის შედეგების კვლევისას გამოიკვეთა პროექტის დახვეწის საჭიროებები შემდეგი მიმართულებებით:

- მოიხსნას შეზღუდვა სესხის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით;
- აგროკრედიტით დაფინანსდეს საწარმოები უფრო დახვეწილი მოდელების საშუალებით;
- გაუმჯობესდეს სტატისტიკის წარმოება როგორც მაკრო ეკონომიკურ დონეზე, ასევე საწამოების, რეგიონების, დარგებისა და საქმიანობების მიხედვით;
- დაზუსტდეს წარმოების გეოგრაფიული გადანაწილების სტატისტიკა;
- დარგების (მიზნობრიობების) პარალელურად აღირიცხოს საქმიანობებიც;
- მოზიდულ იქნას დამატებითი არასაბიუჯეტო დაფინანსება შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის გაფართოების მიზნით.

2. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის წინაპირობები

2013 წლამდე სოფლის მეურნეობისა და აგრობიზნესის სექტორებში მწვავედ იდგა გრძელვადიანი და იაფი ფინანსური რესურსების ნაკლებობის საკითხი, რაც პირდაპირ აისახებოდა სოფლის მეურნეობის პოტენციალსა და ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

სოფლის მეურნეობა საბანკო და საკრედიტო ორგანიზაციებისთვის მაღალი რისკების შემცველ დარგად იყო შეფასებული. შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთები გაცემულ აგროკრედიტებზე ბევრად აღემატებოდა სხვა სახის კრედიტების საპროცენტო განაკვეთებს. გარდა თავად დარგის მაღალი რისკიანობისა, საპროცენტო განაკვეთების სიდიდე ასევე განპირობებული იყო ფერმერების ხელთ არსებული, კრედიტის უზრუნველსაყოფად საჭირო ქონების ნაკლებობით და/ან დაბალი ღირებულებით. სოფლად არსებული უძრავი ქონება და სასოფლო სამეურნეო ტექნიკა (არსებობის შემთხვევაში) იყო მოძველებული, ხოლო მიწას არ გააჩნდა საკმარისი ღირებულება კრედიტის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, კრედიტის მსურველი აგრო მეწარმე იღებდა მცირე ოდენობის საკრედიტო თანხას, მაღალი საპროცენტო განაკვეთით და მოკლე ვადით, რაც სოფლის მეურნეობის როგორც ბიზნესის განვითარებას ვერანაირად ვერ უზრუნველყოფდა.

ბანკებში სხვა სახის სესხებთან შედარებით, აგრო სესხების სიმცირის გამო, ბანკები აგრო დაკრედიტებისთვის საჭირო ადამიანური რესურსების გაძლიერებასა და განვითარებაზე ნაკლებად ზრუნავდნენ. შესაბამისად არ ხდებოდა აგროდაკრედიტების კომპეტენციისა და გამოცდილების დაგროვება და აგრო საკრედიტო სტრატეგიების შემუშავება ბანკებში, რასაც დარგის დაკრედიტების გაუმჯობესება და გაფართოება უნდა გამოეწვია.

აგრო მეწარმეთათვის ფულად სახსრებზე, განსაკუთრებით დაბალპროცენტიან და გრძელვადიან სესხებზე, შეზღუდული ხელმისაწვდომობა განაპირობებდა ბევრი სახის პრობლემას:

- დროული და საკმარისი რაოდენობით ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო საშუალებების არ არსებობა;
- თანამედროვე და ეფექტური სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებისა და მანქანა-დანადგარების ნაკლებობა;
- მოსავლის შემდგომი დამუშავებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის სიძველე, არაეფექტურობა და ნაკლებობა და სხვა.

არსებულ სიტუაციაში, გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულ პირთათვის ფინანსური მხარდაჭერის გაძლიერება, რაც უნდა ასახულიყო საბანკო და საფინანსო სექტორის მხრიდან აგრო მეწარმეების დაფინანსების გამარტივებაზე, საკრედიტო რესურსების გაიაფებაზე და მათ გრძელვადიან ხელმისაწვდომობაზე. სწორედ ამ მიზნით, 2013 წლის მარტში ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ დაიწყო სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ განხორციელება.

3. პროექტის აღწერა

3.1 პროექტის მიზანი და ამოცანები

მიზანი - სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების გაუმჯობესების მიზნით, მეწარმეთა უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით.

ძირითადი ამოცანები:

- ადგილობრივი ხარისხიანი პროდუქციის შექმნის ხელშეწყობა;
- პროდუქციის დამუშავების, შენახვის, გადამუშავების და შენახვა-რეალიზაციის ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოების ზრდა;
- სასოფლო-სამეურნეო დამატებითი ღირებულების რგოლების გაძლიერება;
- სოფლად მაცხოვრებელთათვის დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა, მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

3.2 პროექტის კომპონენტები

„შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ საწყის ეტაპზე სააგენტო ფერმერებს და აგრო მეწარმეებს საკრედიტო ინსტიტუტებისა და სოფლის მეურნეობის საწარმოო საშუალებების მიმწოდებლების მეშვეობით სთავაზობდა სამი სახის შეღავათიან კრედიტს[1], ესენია:

1. **უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადება) მცირე ფერმერებისთვის**

სააგენტოს მიერ საფინანსო ინსტიტუტებთან და მომწოდებლებთან მოლაპარაკების საფუძველზე ორგანიზაციებსა და მაღაზიებს შორის გაფორმდა ხელშეკრულებები, მასზედ, რომ მაღაზია უწერს ფერმერს შესასყიდი პროდუქციის საფასურის ანგარიშს (ინვოისს), რომელსაც ანაზღაურებს საფინანსო ინსტიტუტი. საფინანსო ინსტიტუტსა და მაღაზიას შორის მოლაპარაკების შედეგად, ფერმერს/მეწარმეს საშუალება ეძლევა, პროდუქციის წარმოების სრული ციკლის განმავლობაში, გამოიტანოს მაღაზიიდან მისთვის საჭირო საწარმოო საშუალებები, რის საფასურსაც მაღაზიას დათქმულ ვადაში გადაუხდის საფინანსო ინსტიტუტი, ფერმერის მიერ წარმოდგენილი მაღაზიის ანგარიშის (ინვოისის) შესაბამისად. სეზონის დასრულების შემდეგ ფერმერი/მეწარმე გადაუხდის სასაქონლო კრედიტს საფინანსო ინსტიტუტს, სესხის დამტკიცების მომენტიდან ფერმერის მიერ მიღებული საქონლის ჯამური ოდენობის შესაბამისად, დამატებითი პროცენტის დარიცხვის გარეშე. ამ დროისთვის, საფინანსო ინსტიტუტს დამტკიცებული სესხის სრული ოდენობა უკვე გადახდილი ექნება მომწოდებლის/მაღაზიისთვის. ამ შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტი საპროცენტო სარგებელს არ ახდევინებს ფერმერს და ამის სანაცვლოდ, მაღაზიის მიერ ფასდაკლებას დაიტოვებს, როგორც მომსახურების საფასურს;

2. **შეღავათიანი აგროკრედიტი საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის** (საბრუნავი საშუალებების და მარაგების დაფინანსება მოკლე ვადით).

აღნიშნული კომპონენტი ძირითადად ემსახურება საშუალო და მსხვილი ფერმერების დაფინანსებას. ფერმერთა ამ კატეგორიის შემთხვევაში, საქმე გვაქვს ჩამოყალიბებულ ან ნახევრად პროფესიონალ მეწარმესთან (ფერმერთან), რომლის შემოსავლების ძირითადი ნაწილი აგრო საქმიანობიდან იქმნება. სახელმწიფოს ინტერესს ფერმერთა სწორედ ასეთი კლასის (ინიციატივის მქონე აგრო მეწარმეების) განვითარება წარმოადგენს, ვინაიდან, მათი იმედგაცრუება თუ მაღალი მოტივაცია პირდაპირპროპორციულად აისახება სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. შესაბამისად, ამ კატეგორიის ფერმერების ხელშეწყობა იაფი და მათზე მორგებული კრედიტების გაცემის გზით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის სტაბილური განვითარებისთვის.

3. **შეღავათიანი აგროკრედიტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვის** (ძირითადი საშუალებების და ტექნოლოგიების დაფინანსება ხანგრძლივი პერიოდით).

[1] პროექტის სამივე კომპონენტის დეტალური აღწერა იხილეთ დანართ 1-ში

შეღავათიანი აგროკრედიტის ეს კომპონენტი გულისხმობს დიდი ფერმერული მეურნეობების, მოსავლის აღების შემდგომი, ნებისმიერი სახის პროდუქციის გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის (შემნახველი, სასაწყობე, დამფასოებელი, სამაცივრე მეურნეობები და გადამამუშავებელი საწარმოები), ასევე სხვა ტიპის ინფრასტრუქტურული (თანამედროვე ფერმები, სასათბურე მეურნეობები, სარწყავი სისტემები) პროექტების განვითარების მხარდაჭერას იაფი და გრძელვადიანი ფულადი რესურსით.

პროექტის მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე გამოიკვეთა მისი სრულყოფის და დამატებების შეტანის აუცილებლობები, რაც განპირობებული იყო აგრარული დარგის მეწარმეთათვის უკეთესი ფინანსური სერვისის შეთავაზების სურვილით. ასე, მაგალითად:

- 2013 წლის ზაფხულში პროექტს დაემატა მე-4 და მე-5 კომპონენტები - „შეღავათიანი აგროლიზინგისა“ და „ყურძნის შესყიდვისთვის გამიზნული“ კომპონენტების სახით, ხოლო შემოდგომაზე დაემატა მე-6 კომპონენტი „მანდარინისა და სამრეწველო ვაშლის შესყიდვისთვის განკუთვნილი“ კომპონენტის სახით;
- 2014 წლის გაზაფხულზე პროექტს დაემატა მე-7 კომპონენტი „შეღავათიანი აგროკრედიტი სახელმწიფო თანადაფინანსებით დაფინანსებული საწარმოებისთვის“, ხოლო ზაფხულში მე-8 კომპონენტი, რომელიც წარმოადგენდა სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ აგრო მიმართულების დაფინანსების კომპონენტს.

კომპონენტების უნიფიცირებისა და გამარტივების მიზნით, 2014 წლის შემოდგომაზე პროექტმა განიცადა სახე-ცვლილება. კომპონენტები დაიყო წარმოების საშუალებების დანიშნულებისა (ძირითადი ან საბრუნავი) და ფინანსური პროდუქტის ტიპების (კრედიტი, ლიზინგი, აწარმოე საქართველოში) მიხედვით. მანამდე კომპონენტები დაყოფილი იყო თანხების სიდიდისა და სესხების მიზნობრიობების/დანიშნულებების მიხედვით, მაგ: ძირითადი ან საბრუნავი საშუალებების დაფინანსება, მხოლოდ ყურძნის, მანდარინის, ატმის და/ან სამრეწველო ვაშლის შეძენის დაფინანსება.

შესაბამისად, დღეისათვის „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“ (შემდგომში - პროექტი) შედგება შემდეგი ფინანსური პროდუქტებისგან:

- **„შეღავათიანი აგროკრედიტი“ ორი კომპონენტით:**
  - საბრუნავი საშუალებებისთვის
  - ძირითადი საშუალებებისთვის
- **„შეღავათიანი აგროლიზინგი“**
- **სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ აგრონაწილი**

შეღავათიანი აგროკრედიტის, როგორც ფინანსური პროდუქტის, პირველ (საბრუნავი საშუალებების) კომპონენტში გაერთიანდა უკვე ყოფილი შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის მე-2, მე-5 და მე-6 კომპონენტები, ხოლო შეღავათიანი აგროკრედიტის, როგორც ფინანსური პროდუქტის, მეორე (ძირითადი საშუალებების) კომპონენტში შევიდა ყოფილი მე-3 და მე-7 კომპონენტები.

ყოფილი შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის 1-ლი კომპონენტი გაუქმებული იქნა, მასში სააგენტოს მხრიდან ჩარევის აუცილებლობის არ არსებობის გამო, რაც მხოლოდ დადებით მოვლენად უნდა შეფასდეს. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში საკმაოდ კარგი შედეგი იქნა მიღწეული პროექტის დაწყების პირველივე წელს. 6000-მდე ფერმერზე გაიცა 2 მლნ. ლარამდე შეღავათიანი აგრო განვადება ისეთ მნიშვნელოვან სასოფლო სამეურნეო საშუალებებზე, როგორებიცაა სათესი და სარგავი მასალა, სასუქები, მცენარეთა დაცვის საშუალებები, სასოფლო სამეურნეო ინვენტარი და სხვა.

კომპონენტის გაუქმებაში იგულისხმება, რომ მასში სააგენტოს ჩართულობა შეწყდა, ვინაიდან აღარ არსებობდა ფასილიტაციის საჭიროება. სხვა, ამ კომპონენტში რეალურად მონაწილე მხარეებმა (იგულისხმება მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სასოფლო-სამეურნეო საშუალებების მომწოდებლები) სააგენტოს გარეშეც გააგრძელეს თანამშრომლობა.

ვინაიდან ლიზინგი და კრედიტი განსხვავებული ფინანსური პროდუქტებია, ამიტომ ყოფილი შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის მე-4 კომპონენტი ჩამოყალიბდა ცალკე ფინანსურ პროდუქტად.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ იქნა ყოფილი შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის მე-8 კომპონენტი გამოყოფილი ცალკე ფინანსურ პროდუქტად, არსებობს რამოდენიმე მიზეზი ამისათვის:

- აღნიშნული კომპონენტი წარმოადგენდა სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ სოფლის მეურნეობის მიმართულებას;

- გააჩნდა ასევე ქვე-კომპონენტები: ბენეფიციარების ინფრასტრუქტურული (ქონებრივი) მხადაჭერის და საკონსულტაციო მომსახურების გაწევის (მენეჯმენტის ტრეინინგი, კადრების გადამზადება და სხვა) სახით;
- ითვალისწინებდა მხოლოდ ახალი საწარმოების (სტარტაპების) დაფინანსებას;
- ერთ ბენეფიციარზე გაიცემოდა როგორც სესხი, ასევე ლიზინგი;
- კომპონენტის ფარგლებში ფინანსდებოდა როგორც ძირითადი საშუალებები (გრძელვადიანი აქტივების შესყიდვა/შექმნა), ასევე საბრუნავი საშუალებები (სასტარტო კაპიტალის ჩათვლით). შენიშვნა: ძირითადი და საბრუნავი საშუალებების თანაფარდობა წარმოადგენდა სესხის თანხიდან მინიმუმ 80% ძირითად საშუალებებზე და მაქსიმუმ 20% საბრუნავ საშუალებებზე;
- სხვა კომპონენტებისგან განსხვავებით უფრო კომპლექსური მონიტორინგის პროცესის არსებობა, რაც ასევე გულისხმობდა ბენეფიციარის მიერ ვალდებულებების აღებას, აღებული ვალდებულებების შესრულების დეკლარირებას გარკვეული პერიოდულობით და სააგენტოს მიერ მათ გრძელვადიან მონიტორინგს. მაგ.: სესხის გაცემიდან 2 წლის განმავლობაში ბენეფიციარს უნდა აემოქმედებინა საწარმო, ხოლო საწარმოს ამოქმედებიდან 2 წლის განმავლობაში უნდა შეენარჩუნებინა პროფილი.

პროექტის საკვლევ პერიოდში (27/03/2013-დან 31/12/15-ის ჩათვლით) შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის დებულებამ საბოლოო რედაქცია მიიღო საქართველოს მთავრობის №2177 2015 წლის 9 ოქტომბრის განკარგულებით. ხოლო კვლევის ჩატარების პერიოდისთვის (2016 წლის ოქტომბერი) ბოლო ცვლილება დებულებაში შევიდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 სექტემბრის №1940 განკარგულებით[2].
წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს „შეღავათიანი აგროკრედიტის", როგორც ფინანსური პროდუქტის, ორივე (საბრუნავი და ძირითადი საშუალებებისთვის) კომპონენტის შედეგების კვლევა, გაანალიზება და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

4. პროექტში ჩართული მხარეები

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის კომპონენტები სააგენტოს მიერ ყალიბდებოდა ფინანსურ ინსტიტუტებსა და სოფლის მეურნეობის საწარმოო საშუალებების მიმწოდებლებთან კონსულტაციების, ასევე ბენეფიციარებთან უშუალო კომუნიკაციის საფუძველზე. მათი სრულფასოვანი ჩართულობა შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტში წარმოადგენდა სწორედ წარმატების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას. ჩართული მხარეები შემდეგი სახის კონტრიბუციას ეწევიან პროექტის განხორციელებაში:

- **ფინანსური ინსტიტუტები:**
- უზრუნველყოფენ დაბალ საპროცენტო განაკვეთს სასაქონლო განვადებაზე;
- გასცემენ კრედიტებს საბრუნავი საშუალებების და ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად;
- გრძელვადიანად გასცემენ ძირითად საშუალებებს ლიზინგით.
- **მომწოდებლები** :
- საკრედიტო ინსტიტუტებთან შეთანხმებით განსაზღვრავენ 0%-ან ეფექტურ განაკვეთს ფერმერისთვის, სასაქონლო განვადების შემთხვევაში (2014 წლის 1 იანვრიდან სააგენტოს ჩართულობის გარეშე).
- **სააგენტო** :
- ახდენს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის პირობების შესაბამისად საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული კრედიტების საპროცენტო ხარჯების საგრანტო თანადაფინანსებას, საბრუნავი საშუალებების შემთხვევაში წლიურად 8%-ს, ხოლო ძირითადი საშუალებების შემთხვევში - წლიურად 11%-ს (2015 წლის 1 იანვრამდე გაცემულ სესხებზე 9% და 12%);

[2] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3411054

- აფინანსებს ლიზინგით გაცემული ძირითადი საშუალებების გადასახადს წლიური 12 %-ით (2015 წლის 1 იანვრამდე გაცემულ ლიზინგებზე 13%);
- სესხის ძირითადი თანხის ნახევარს უზრუნველყოფს საგარანტიო წერილით (მეორადი უზრუნველყოფა);
- სასოფლო-სამეურნეო მიწით უზრუნველყოფილი სესხის ჩამოწერის შემდეგ, საფინანსო ინსტიტუტის სურვილის შემთხვევაში, გარანტირებულად შეისყიდის სესხის
- უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთულ მიწას, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმატიული ფასის შესაბამისად;
- მონიტორინგს უწევს პროცესებს, რომ დაცული იყოს შეღავათიანი აგროკრედიტის გაცემის და მომსახურების პირობები.

კვლავ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პირველი კომპონენტის ფარგლებში სააგენტოს ფუნქციას წარმოადგენდა მხოლოდდამხოლოდ ფასილიტაციის გაწევა საკრედიტო ინსტიტუტებსა და სასოფლო-სამეურნეო საშუალებების მომწოდებლებს შორის, ისიც პროექტის საწყის ეტაპზე. სხვა ყოფილი კომპონენტების და ამჟამად ფინანსური პროდუქტების ფარგლებში სააგენტო არ არის ჩართული სესხის და/ან ლიზინგის დამუშავებისა და გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მიუხედავად იმისა რომ შეღავათიანი აგროკრედიტის და
ლიზინგის გაცემის პირობების დამდგენი და ყველა ბენეფიტის გამცემი სწორედ სააგენტოა. ბანკები და სალიზინგო კომპანიები სესხის დამუშავებას და გაცემას ახდენენ მათთან არსებული პროცედურებისა და შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის პირობების შესაბამისად ისე, რომ სააგენტო არც ერთ ეტაპზე არ ერევა მათ საქმიანობაში და მითუმეტეს გადაწყვეტილების მიღებაში. გაცემის შემდეგ სააგენტო მონიტორინგს უწევს სესხებს და ლიზინგებს, თუ რამდენად შეესაბამება მათი გაცემა (ბანკების მხრიდან) და ათვისება (ბენეფიციარების მხრიდან) შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის პირობებს.
ელექტრონული კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით სააგენტომ შეიმუშავა პროგრამული უზრუნველყოფა, რაც პროექტში ჩართულ მხარეებს ზემოთჩამოთვლილი საქმიანობების პირდაპირ (ე.წ. „ონლაინ“) რეჟიმში წარმოების საშუალებას აძლევს. ბუნებრივია ამით გამარტივებული და უფრო ეფექტურია აღნიშნული საქმიანობების კოორდინირებულად წარმართვა. აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფა გახდა ასევე სხვა სახელმწიფო პროგრამის, მაგ: სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ კონცეპტუალური შემადგენელი.

5. პროექტის სტატისტიკური მონაცემების შეჯამება და ანალიზი

როგორც უკვე აღინიშნა, წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს „შეღავათიანი აგროკრედიტის“, როგორც ფინანსური პროდუქტის ორი კომპონენტის (ძირითადი და საბრუნავი საშუალებების) შედეგების კვლევა, გაანალიზება და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა. გამომდინარე აქედან, სტატისტიკური მონაცემები აღებულია მხოლოდ ამ ორი (ძირითადი და საბრუნავი საშუალებების) კომპონენტის ფარგლებში გაცემულ სესხებზე. პირველი კომპონენტის სტატისტიკაში ერთიანდება ყოფილი მე-2, მე-5 და მე-6 კომპონენტების, ხოლო მეორე კომპონენტის სტატისტიკაში ყოფილი მე-3 და მე-7 კომპონენტების ფარგლებში გაცემული სესხების მონაცემები.
უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მონაცემების უმეტესობა აღებულია სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსგან. საქ.სტატისა და ეროვნული ბანკის მონაცემები ხშირ შემთხვევაში არასრულყოფილად ან საერთაოდ არ ასახავს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის რეალურ მაჩვენებლებს. განსაკუთრებით პრობლემატურია გაცემული სესხების რაოდენობისა და მოცულობის, ასევე პორტფელის ოდენობის შესახებ მონაცემების აღრიცხვა ეროვნული ბანკის მიერ. სამწუხაროდ ეროვნული ბანკის მონაცემები ვერ დაემთხვევა სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მონაცემებს. განსხვავების მიზეზს წარმოადგენს ეროვნული ბანკის მიერ სესხებზე მინიჭებული კლასიფიკაცია, რომლის მიხედვით არამეწარმე ფიზიკურ პირებზე გაცემული შეღავათიანი აგროსესხები, რომლებიც შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის პირობების მიხედვით მხოლოდდამხოლოდ აგრო დანიშნულებით შეიძლება იქნეს გამოყენებული, აღირიცხება როგორც სამომხმარებლო სესხები.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მონაცემებით, რომელსაც ეყრდნობა წარმოდგენილი კვლევა, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის დაწყებიდან 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორივე (საბრუნავი და ძირითადი საშუალებების) კომპონენტის ფარგლებში 21,773 ბენეფიციარზე გაცემულია 25,656 სესხი, რომელთა ჯამური მოცულობა შეადგენს 686,058,018 ლარსა და 163,756,073 აშშ დოლარს, ხოლო აქტიური პორტფელი (გაცემული სესხების ნარჩენი დავალიანება) კი შეადგენს 233,548,571 ლარსა და 101,948,253 აშშ დოლარს.
წლების მიხედვით საბრუნავ და ძირითად საშუალებებზე გაცემული სესხების რაოდენობის დინამიკა ასე გამოიყურება:



სესხების უმეტესობა გაცემულია ძირითადი აქტივების შექმნის მიზნით, რაც დადებით მოვლენად შეიძლება შეფასდეს, ვინაიდან მათი გამოყენება წარმოების პროცესში უფრო დიდი ხნის განმავლობაში მოემსახურება მსესხებელ ფერმერებს, შესაბამისად იაფი რესურსი ხანგრძლივი პერიოდით იქონიებს პოზიტიურ გავლენას მათი დანახარჯების სტრუქტურაზე.
არსებობს განსხვავება სესხებისა და ბენეფიციარების რაოდენობას შორის, რომელიც წლების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:



განსხვავება ბენეფიციარებსა და სესხების რაოდენობას შორის განპირობებულია იმით, რომ ბენეფიციართა გარკვეული ნაწილი სარგებლობს ორივე (საბრუნავი და ძირითადი) კომპონენტის სესხებით, რაც ლოგიკურიცაა, ვინაიდან იმ ფერმერებს თუ აგრო საწარმოებს, რომლებმაც სესხები აიღეს ძირითადი აქტივების შექმნის მიზნით, გაუჩნდათ ასევე საბრუნავი

საშუალებების დაფინანსების მოთხოვნილება. ასეთი ფერმერებისთვის ორივე კომპონენტით სარგებლობის უფლების მიცემა სააგენტოს მხრიდან, დადებითად შეიძლება შეფასდეს. გაცემული სესხების რაოდენობის მიხედვით რეგიონებს შორის კახეთი უპირობო ლიდერია 11,115 ერთეული ლარში გაცემული სესხითა და 613 ერთეული აშშ დოლარში გაცემული სესხით. ამ მხრივ ბოლო ადგილს იკავებს რაჭა-ლეჩხუმის რეგიონი.



რეგიონების მიხედვით საქმიანობების დაფინანსების სტატისტიკაში არსებობს გარკვეული ხარვეზები, რაც განპირობებულია ერთის მხრივ მეწარმეების იურიდიულ და ფაქტიურ მისამართებს შორის სხვაობით და მეორეს მხრივ, ერთ რეგიონში დარეგისტრირებული კომპანიის მიერ რამოდენიმე რეგიონში საქმიანობის წარმართვით.

ამის საილუსტრაციოდ კარგ მაგალითს წარმოადგენს თბილისს მიკუთვნებული სესხები. თბილისში გაცემული სესხების ნაწილი განკუთვნილია თბილისის ტერიტორიულ ერთეულში შემავალი სასოფლო ტიპის დასახლებებში არსებული ფერმერული მეურნეობებისა და აგრო საწარმოებისათვის, ასევე სასოფლო სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოებისათვის. თბილისს მიკუთვნებული სესხების მეორე ნაწილი გაცემულია ისეთ ფერმერებსა თუ აგრო საწარმოებზე, რომელთა იურიდიული მისამართი თბილისში არის მითითებული, ხოლო რეალურად საქმიანობას ეწევიან არა თბილისში, არამედ სხვა რეგიონში ან რეგიონებში. მსგავსი ფაქტები სხვა რეგიონებზეც ვრცელდება, მაგრამ არა იმ ოდენობით, რა ოდენობითაც იგი თბილისში არის წარმოდგენილი.

მომდევნო დიაგრამაში მოცემულია შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში საბრუნავი და ძირითადი საშუალებების დაფინანსების მიზნით გაცემული სესხების მოცულობა [3] ორივე ვალუტაში რეგიონების მიხედვით.

[3] გაცემული სესხების მოცულობაში იგულისხმება ყველა სახის სესხი, როგორც აქტიური, ასევე დაფარული.



არც გაცემული სესხების მოცულობის (416 მლნ ლარი და 73 მლნ აშშ დოლარი) მიხედვით უთმობს კახეთის რეგიონი პირველობას სხვა რეგიონებს. ამ მხრივაც რაჭა-ლეჩხუმის რეგიონი ბოლო ადგილზეა.

31/12/2015-ის მდგომარეობით არსებული პორტფელი (გაცემული სესხების ნარჩენი ვალდებულება), 233,548,571 ლარი და 101,948,253 აშშ დოლარი რეგიონების მიხედვით შემდეგნარიად გამოიყურება:



შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში დაფინანსებულია სოფლის მეურნეობის 45 პირველადი და გადამამუშავებელი დარგი, ასევე ინფრასტრუქტურული მიმართულებები, შერეული და მრავალდარგობრივი მეურნეობები. აღნიშნულიდან გამოვყავით 20 ისეთი დარგი, რომელიც ყველაზე მეტად დაფინანსდა[4].

[4] დამატებითი ინფორმაცია ყველა დარგში გაცემულ სესხებზე მოცემულია დანართ 2-ში

ეროვნულ ვალუტაში გამოსახული აქტიური და დაფარული სესხების ჯამური მოცულობა (კონვერტირებული ლარში), დარგების მიხედვით ასე ნაწილდება:



აქტიური და დაფარული სესხების ეროვნულ ვალუტაში გაანგარიშება მოხდა 31/12/2015-ის მდგომარეობით არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის სამივე ფინანსური პროდუქტის ფარგლებში შეიქმნა 139 ახალი საწარმო, აქედან 5 ახალი საწარმო შეიქმნა სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში[5].

ფინანსური პროდუქტის დასახელება	ახალი საწარმოს რაოდენობა
შეღავათიანი აგრო სესხი	134
სახელმწიფო პროგრამა აწარმოე საქართველოში	5
სულ	139

რეგიონი	სულ ინვესტირებული აშშ დოლარი	მეწარმის საკუთარი წილი აშშ დოლარი	სესხის მოცულობა აშშ დოლარი	საწარმოების რაოდენობა
აჭარა	2,422,350	692,350	1,730,000	1
გურია	2,000,000	1,475,000	525,000	1
კახეთი	8,000,000	6,660,000	1,340,000	1
სამეგრელო	15,000,000	7,000,000	8,000,000	1
ქვემო ქართლი	2,180,000	180,000	2,000,000	1
სულ	29,602,350	16,007,350	13,595,000	5

კვლევა მოიცავს 134 ახალ საწარმოს, რომელთაგანაც 123 იქნა დაფინანსებული ბანკების მიერ გაცემული შეღავათიანი აგროკრედიტებით და მეწარმეების საკუთარი თანამონაწილეობით, სახელმწიფო (ე.წ. საგრანტო) თანადაფინანსების გარეშე. აღსანიშნავია, რომ მოცემულ საწარმოებში მეწარმეთა საკუთარი ინვესტიციის წილი მნიშვნელოვნად აღემატება მათ მიერ მიღებული სესხის მოცულობას.

რეგიონი	სულ ინვესტირებული აშშ დოლარი	მეწარმის საკუთარი წილი აშშ დოლარი	სესხის მოცულობა აშშ დოლარი
აჭარა	2,020,000	655,000	1,365,000
გურია	1,103,778	244,000	859,778
თბილისი	1,800,000	1,200,000	600,000
იმერეთი	2,046,933	1,117,167	929,767
კახეთი	35,687,114	23,316,348	12,370,766
მცხეთა-მთიანეთი	415,000	100,000	315,000
სამეგრელო	5,395,440	2,733,000	2,662,440
სამცხე-ჯავახეთი	1,821,000	576,000	1,245,000
ქვემო ქართლი	10,842,700	6,536,200	4,306,500
შიდა ქართლი	3,876,833	1,693,500	2,183,333
სულ	65,008,799	38,171,215	26,837,584

[5] წარმოდგენილი კვლევა არ მოიცავს სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში შექმნილი 5 ახალი საწარმოს მონაცემების ანალიზს.

დანარჩენი 11 საწარმო (134 ახალი საწარმოდან) შეიქმნა კომბინირებული დაფინანსების სქემის საფუძველზე, რაც გულისხმობს როგორც შეღავათიანი აგრო კრედიტით დაფინანსებას ბანკების მხრიდან (მაქსიმუმ 50%), ასევე სახელმწიფოს მხრიდან (ე.წ. საგრანტო) თანადაფინანსებას (მაქსიმუმ 40%) და თავად მეწარმის მხრიდან (მინიმუმ 10%) საკუთარ თანამონაწილეობას.

რეგიონი	სულ ინვესტირებული აშშ დოლარი	მეწარმის საკუთარი წილი (მინიმუმ 10%) აშშ დოლარი	სესხის მოცულობა (მაქსიმუმ 50%) აშშ დოლარი	სახელმწიფო დაფინანსება (მაქსიმუმ 40%) აშშ დოლარი
აჭარა	1,000,000	100,000	500,000	400,000
გურია	1,971,961	197,196	985,981	788,784
იმერეთი	597,482	358,489	-	238,993
სამეგრელო	3,505,162	350,575	1,752,581	1,402,006
ქვემო ქართლი	446,780	44,678	223,390	178,712
შიდა ქართლი	409,260	40,926	204,630	163,704
სულ	7,930,645	1,091,865	3,666,582	3,172,198

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში 123 ახალი საწარმო შეიქმნა ქვეყნის 10 რეგიონში, ხოლო თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში 11 ახალი საწარმო საქართველოს 6 რეგიონში, რომლებიც რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:





სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მონაცემებით, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში გაფართოვდა და გადაიარაღდა 665 არსებული სასოფლო სამეურნეო საწარმო. აღნიშნულ საწარმოებზე სულ გაცემულია 672 სესხი, რომელთაგან ლარში გაცემულია 100 სესხი, ხოლო აშშ დოლარში 572 სესხი.



საწარმოების კატეგორიები*	გაცემული სესხები		
	ლარში	აშშ დოლარში	სულ
პირველადი საწარმოები	91	437	528
გადამამუშავებელი საწარმოები	7	105	112
ინფრასტრუქტურული საწარმოები	2	30	32
ჯამი	100	572	672

საწარმოების გადაიარაღებაზე ლარში გაცემული სესხების ჯამური მოცულობა შეადგენს 13,551,359 ლარს, ხოლო აშშ დოლარში გაცემულის 67,615,439 აშშ დოლარს. გადაიარაღებული საწარმოების კატეგორიების მიხედვით გაცემული შეღავათიანი აგრო კრედიტები ვალუტის მიხედვით შემდეგნაირადაა გადანაწილებული:



სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მონაცემებით, შეღავათანი აგროკრედიტის პროექტის დაწყებიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ორივე (საბრუნავი და ძირითადი საშუალებების) კომპონენტის ფარგლებში გაცემულ ყველა სახის კრედიტზე ფერმერების და აგრომეწარმეების საპროცენტო გადასახადების თანადაფინანსების მიზნით, სააგენტოს მხრიდან გაცემულია სუბსიდია 86,073,915 ლარის ოდენობით, რომელიც წლების მიხედვით ასე ნაწილდება:

წელი	აქტიური სესხების რაოდენობა (ლარი და აშშ დოლარი დაჯამებული)	სააგენტოს დაფარული საპროცენტო ხარჯები (კონვერტირებული ლარში)
2013	5,866	4,131,094
2014	15,447	29,277,074
2015	9,541	52,665,747
სულ	30,854	86,073,915

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის დაწყებიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ლარში გაცემული სესხებიდან ბოლო 32 სესხი დაიფარება 2022 წელს, ხოლო აშშ დოლარში გაცემული სესხებიდან ბოლო 3 სესხი დაიფარება 2024 წელს. აღნიშნულ პერიოდში ორივე ვალუტაში გაცემული სესხების დაფარვის დინამიკა წლების მიხედვით ასე გამოიყურება:

წელი	აქტიური სესხების რაოდენობა		
	ლარში გაცემული	აშშ დოლარში გაცემული	სულ
2016	8,444	1,045	9,489
2017	4,377	984	5,361
2018	2,300	917	3,217
2019	1,110	735	1,845
2020	366	551	917
2021	76	309	385
2022	32	147	179
2023		4	4
2024		3	3

აქტიური სესხების კლების პარალელურად მცირდება სახელმწიფოს მხრიდან წლების მიხედვით გადასახდელი თანხების მოცულობაც, რომელიც ხმარდება აღნიშნული სესხების საპროცენტო დანახარჯების დაფარვას. არსებული დინამიკა მოცემულია შემდეგ ცხრილში:

წელი	სააგენტოს დასაფარი საპროცენტო ხარჯები	
	ლარში გაცემული სესხებისთვის	აშშ დოლარში გაცემული სესხებისთვის
2016	18,168,414	11,891,936
2017	8,778,711	8,474,884
2018	4,539,000	5,926,426
2019	1,911,333	3,804,158
2020	662,844	2,037,416
2021	217,477	745,692
2022	34,241	139,781
2023		9,299
2024		2,858
სულ	34,312,019	33,032,449

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო შეღავათიანი აგრო კრედიტების მიზნობრივად გაცემისა და ათვისების პროცესის გასაკონტროლებლად, ახორციელებს ორი სახის - საველე და დოკუმენტურ მონიტორინგს. დოკუმენტური მონიტორინგის დანიშნულებას წარმოადგენს ბანკების კონტროლი შეღავათიანი აგროსესხების გაცემის პროცესში, თუ რამდენად ზუსტად იცავენ ისინი სოფლის მეურნეობის პროქტების მართვის სააგენტოს წინაშე ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებს, ხოლო საველე მონიტირინგის მიზანია

აკონტროლოს ფერმერები და აგრო მეწარმეები მიღებული შეღავათიანი აგროკრედიტების მიზნობრივად ათვისების კუთხით.
მონიტორინგის სამსახურის მიერ 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ორივე კომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხებიდან 88-ს შეუმცირდა თანადაფინანსების ვადა, ხოლო სახელმწიფო თანადაფინანსება შეუწყდა 173 სესხს.

წელი	დაფინანსების ვადა შეუმცირდა	დაფინანსება შეუწყდა
2013	6	7
2014	48	36
2015	34	130
სულ	88	173

დაფინანსების ვადა შემცირებული სესხებიდან არცერთი არ გაპრობლემებულა და მსესხებლებმა კვლავაც გააგრძელეს მათი გადახდა ბანკებში არსებული საკრედიტო პირობების შესაბამისად.
თანადაფინანსების ვადის შემცირება გამოიწვია ერთის მხრივ, ბანკების მიერ სესხების გაცემის პირობების დარღვევამ და მეორეს მხრივ ბენეფიციარების მიერ აღებული სესხების არამიზნობრივად ათვისებამ.

დაფინანსების ვადის შემცირების მიზეზი	დაფინანსების ვადა შემცირული სესხების რაოდენობა წლების მიხედვით			სულ
	2013	2014	2015	
ბანკის მიერ არამიზნობრივად გაცემა	-	37	13	50
ბენეფიციარის მიერ სესხის არამიზნობრივად ათვისება	6	11	21	38
ჯამი	6	48	34	88

სააგენტოს მხრიდან საპროცენტო დანახარჯების თანადაფინანსების შეწყვეტის ზემოთ ჩამოთვლილ 2 მიზეზს, 2015 წლიდან დაემატა კიდევ მესამე მიზეზი - სააგენტოსთვის ბენეფიციარის მხრიდან სესხის მიზნობრივად ათვისების დამამტკიცებელი დოკუმენტაციის არ წარდგენა. 2015 წელს სააგენტოს მიერ მონიტორინგის დებულებაში შევიდა შესაბამისი ცვლილება, რაც ითვალისწინებდა ბენეფიციარის მიერ სააგენტოსთვის სესხის მიზნობრივად ათვისების დამადასტურებელი საბუთების წარდგენის ვალდებულებას.

დაფინანსების შეწყვეტის მიზეზი	დაფინანსება შეწყვეტილი სესხების რაოდენობა წლების მიხედვით			სულ
	2013	2014	2015	
ბანკის მიერ არამიზნობრივად გაცემა		5	11	16
ბენეფიციარის მიერ სესხის არამიზნობრივად ათვისება	7	31	81	119
ბენეფიციარის მიერ დოკუმენტაციის არ წარმოდგენა	-	-	38	38
ჯამი	7	36	130	173

დაფინანსება შეწყვეტილი 173 სესხიდან გაპრობლემებული იყო მხოლოდ 2 სესხი, რომლებზეც სააგენტოს მხრიდან საჭირო გახდა მეორადი უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულება 18,004 ლარის ოდენობით. დანარჩენმა 171-მა მსესხებელმა თავად გააგრძელა სესხების გადახდა ბანკებში არსებული სასესხო პირობების შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით 2015 წლის ბოლოსთვის საქართველოში ოპერირებდა სულ 19 კომერციული ბანკი, აქედან 18 რეზიდენტი კომერციული ბანკი უცხოური კაპიტალის მონაწილეობით, ხოლო ერთი არარეზიდენტი ბანკის ფილიალი.
ამ პერიოდისთვის, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდა საქართველოში არსებული 13 ყველაზე მსხვილი კომერციული ბანკი.
როგორც უკვე აღინიშნა, კომერციული ბანკები, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, ახდენენ ფერმერებისა და აგრო მეწარმეების დაფინანსებას. მიუხედავად მონიტორინგის პროცესში სააგენტოს მიერ გამოვლენილი ხარვეზებისა, პროექტში ჩართულმა ბანკებმა მაღალი ხარისხით უზრუნველყვეს სესხების გაცემა. გამომდინარე აქედან, დადებითად უნდა შეფასდეს მათი მონაწილეობა შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის განხორციელებაში.

5. პროექტის მაკრო ეკონომიკური შედეგების ანალიზი

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის დაწყებამდე და დაწყების შემდეგ კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე (რეზიდენტ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე) ეროვნული და უცხოური ვალუტით „სოფლის მეურნეობა, მეტყეევეობა, თევზჭერაზე“ გაცემული სესხების (ლარში კონვერტირებული) სტატისტიკა ასე გამოიყურება:



თვალშისაცემია ის ზრდა აგრო მიმართულებით გაცემული სესხებისა, რომელსაც ეროვნული ბანკი აღრიცხავს არსებული კლასიფიკატორის მიხედვით.
სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, გაცემული შეღავათიანი აგროკრედიტების მოცულობა პროექტის დაწყების შემდეგ, წლების მიხედვით ასე გამოიყურება:



[აშშ დოლარში გაცემული სესხების ლარში დასაკონვერტირებლად გამოყენებულია შესაბამისი წლის 31 დეკემბრის ეროვნული ბანკის კურსი.]

2015 წელს გაცემული სესხების რაოდენობამ იკლო წინა (2013-2014) წლებთან შედარებით, რასაც რამოდენიმე წინაპირობა გააჩნია:

- მთავარი მიზეზი მაინც აგრო საკრედიტო ბაზრის გაჯერებაა (კვალიფიციური მსესხებლების უდიდესმა ნაწილმა 2013-2014 წლებში უკვე აიღო სესხი). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაქსიმალურად იქნა ბანკების მხრიდან იმ კატეგორიის ფერმერებისა და აგრომეწარმეების დაფინანსება, რომლებსაც ბანკები მიიჩნევდნენ კრედიტუნარიანად;
- ბანკების განცხადებით, საპროცენტო ხარჯების შემცირების გამო (რაც მნიშვნელოვანწილად პროექტის დამსახურებაა) ფერმერებისა და აგრომეწარმეების გარკვეულმა ნაწილმა შეძლო საკუთარი შემოსავლების მობილიზება და მომდევნო სამეურნეო წლისთვის საჭირო საბრუნავი საშუალებების დაფინანსება. საქმე ეხება ისეთ ფერმერებსა და აგრომეწარმეებს, ვინც არ ან ვერ აფართოებს საქმიანობას სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო;
- ბანკების შეფასებით მოხდა აგრო საკრედიტო ბაზრის გაჯერება არამეცხოველეობის მიმართულების დარგებში. ხოლო სააგენტოს მიერ მეცხოველეობის მიმართულებით გასაცემი სესხების პირობებში სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან შესაბამისობის ვალდებულების შეტანამ შეამცირა ფერმერების მოთხოვნა მეცხოველეობის მიმართულების სესხებზე.

2015 წელს გაცემების შემცირების მიუხედავად აგროკრედიტების ჯამური პორტფელი[6] მაინც მზარდია:



პროექტის მიერ კერძო ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა. კომერციული ბანკების მიერ კომერციული/ბიზნეს კრედიტები ძირითადად გაიცემა კრედიტის ამღებების მხრიდან საკუთარი თანადაფინანსების უზრუნველყოფის შემთხვევაში. საკუთარი თანადაფინანსების წილი ბიზნესის ჯამურ დაფინანსებაში (რომელშიც კრედიტის თანხაც შედის) მეწარმეს ესაზღვრება ბანკის მიერ. საშუალო შეწონილი სიდიდის გამოყვანა არ იქნებოდა გამართლებული ვინაიდან თანადაფინანსების წილის განსაზღვრა დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, როგორიცაა რამდენად სარისკოა ბიზნესი, კრედიტუნარიანია თუ არა მეწარმე, გააჩნია თუ არა საკმარისი უზრუნველყოფა სესხისთვის, ახალ საწარმოს აფუძნებს მეწარმე თუ არსებულს აფართოებს და ა.შ. ბუნებრივია არსებობს გამონაკლისები, მაგრამ როცა საქმე ეხება სასოფლო სამეურნეო კრედიტის გაცემას, გამონაკლისების რაოდენობა ბანკების მხრიდან მინიმუმამდეა შემცირებული.

[6] პორტფელის მონაცემები გულისხმობს მთლიანი სესხების ნარჩენ მოცულობას წლების მიხედვით

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ინფორმაციით შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში გაცემული სესხებით შექმნილია 123 ახალი საწარმო, რომელთა ჯამური დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 65,008,799 აშშ დოლარი. ჯამური დაფინანსებიდან შეღავათიანი აგროკრედიტი შეადგენს 26,837,584 აშშ დოლარს, რაც ჯამური დაფინანსების 41%-ია, ხოლო მსესხებლების საკუთარი თანადაფინანსება შეადგენს 38,171,215 აშშ დოლარს, რაც შესაბამისად ჯამური დაფინანასების 59%-ის ტოლია[7].



სასოფლო სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების (ე.წ. საგრანტო) პროექტის ფარგლებში შექმნილი 11 საწარმოს დაფინანსებისათვის ინვესტირებულია

8 მლნ აშშ დოლარამდე, რომელიც შედგება სახელმწიფო თანადაფინანსებისგან (ე.წ. გრანტისგან), შეღავათიანი აგროკრედიტისა და მეწარმის საკუთარი თანადაფინანსებისგან.

მათი პროცენტული გადანაწილება მოცემულია მომდევნო დიაგრამაში:



მიუხედავად იმისა, რომ ახალი საწარმოების შექმნის დაფინანსება ბანკების მხრიდან შეფასებულია მაღალი რისკის შემცველ დაფინანსებად, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ახალი საწარმოების დამფუძნებლებად უმეტეს შემთხვევაში გვევლინებიან ფინანსურად ძლიერი მეწარმეები, რომელთა ძირითადი საქმიანობა ზოგ შემთხვევაში არ არის სასოფლო სამეურნეო ბიზნესის კეთება.

[7] კრედიტის და საკუთარი თანადაფინანსების პროცენტული წილები მიღებულია სააგენტოს სტატისტიკური მონაცემებიდან საშუალო შეწონილი მაჩვენებლის გამოყვანის გზით

ასეთი მეწარმეებისგანაც კი, ახალი აგრო საწარმოს შექმნის დასაფინანსებლად, ბანკი ითხოვს საკუთარი თანადაფინანსება წარმოადგენას ჯამური დაფინანსების 56%-ის ოდენობით და მხოლოდ მას შემდეგ გასცემს მათზე საბანკო კრედიტს 44%-ის ოდენობით.
აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშებაში არ მონაწილეობს, მაგრამ დაშვებულ თანაფარდობასთან (საკუთარი კაპიტალი 56%, სესხი 44%) მიახლოებულია და გარკვეულწილად ამყარებს კიდეც მას, სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში შექმნილი 5 ახალი საწარმოს დაფინანსების სტრუქტურა, სადაც მეწარმეების საკუთარი თანამონაწილეობა შეადგენს 54%-ს, ხოლო საბანკო კრედიტი 46%-ს.



კვლევაში ვუშვებთ, რომ იმ მეწარმეებს, რომლებმაც არ შექმნეს ახალი საწარმოები და რომლებმაც შეღავათიანი აგრო სესხები მოახმარეს არსებული საწარმოების გადაიარაღება, გაფართოებას ან თუნდაც საბრუნავი კაპიტალის შევსებას, ბანკებმა მოთხოვეს ნაკლები მოცულობის საკუთარი თანადაფინანსება.

თუ ამ პრინციპით ვიხელმძღვანელებთ და დავუშვებთ, რომ სასოფლო სამეურნეო კრედიტების მსესხებელთა მხოლოდ 50%-ს მოთხოვეს ბანკებმა საკუთარი თანადაფინანსება და ისიც მხოლოდ 20%-ის მოცულობით, მაშინ გამოდის, რომ კერძო სექტორის მიერ 2013-2015 წლებში, სასოფლო სამეურნეო წარმოების გადაიარაღება/გაფართოებაში, ასევე საბრუნავი საშუალებების დაფინანსებაში საკუთარი კაპიტალის სახით ინვესტირებულია მინიმუმ 68,605,802 ლარი და 13,325,191 აშშ დოლარი.
ამ გათვლებში არ შედის 134 ახალი საწარმოს შექმნის დაფინანსება 39,263,079 აშშ დოლარი, რომლის გათვალისწინებითაც აღნიშნული მაჩვენებელი გაიზრდება და გახდება მინიმუმ 68,605,802 ლარი და 52,588,270 აშშ დოლარი. თუ აღნიშნულ თანხებს გადავიყვანთ ლარში, 2015 წლის 31 დეკემბერს არსებული გაცვლითი კურსით (1 აშშ დოლარი = 2.3949 ლარს), მაშინ მივიღებთ, რომ კერძო სექტორის მხრიდან სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა თითქმის 200 მილიონ ლარს აღწევს, რაც მნიშვნელოვან წილად შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის დამსახურებაა.
აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში შექმნილ 5 ახალ საწარმოში კერძო სექტორის მიერ 2014-2015 წლებში ინვესტირებულია 16 მლნ. აშშ
დოლარზე ოდნავ მეტი, რაც სოფლის მეურნეობის განვითარებაში კერძო სექტორის მიერ დამატებით ჩადებულ, დაახლოებით 37 მლნ. ლარს წარმოადგენს.

სოფლის მეურნეობის მაკრო ეკონომიკურ შედეგებზე შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის პოზიტიური გავლენა შესაძლებელია დადგინდეს, ერთის მხრივ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ წარმოებული გამოკითხვისა და დაშვებების გათვალისწინებით და მეორეს მხრივ ლოგიკური მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზით, რომელიც შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში გაცემული სესხების სტატისტიკასა და მაკრო ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის არსებობს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული, 2015 წლის წლიური ანგარიშის მიხედვით[8] 2013-2015 წლებში შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის და სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში გახსნილ 139 ახალ საწარმოში შექმნილია 3500-მდე ახალი სამუშაო ადგილი, ხოლო შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში გაფართოებულ და გადაიარაღებულ 665 საწარმოში 10 000-მდე ახალი სამუშაო ადგილი.

2015 წლის მანძილზე, ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების ღირებულებამ 3.7 მლრდ ლარი შეადგინა, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების შედეგად, 4.5 მლრდ ლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია შეიქმნა. 2015 წელს, სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის გამოშვება 2012 წელთან შედარებით გაზრდილია 30.6%-ით, ხოლო გადამამუშავებელ სექტორში 20.7%-იანი ზრდა ფიქსირდება.

სასოფლო-სამეურნეო მომსახურების მაჩვენებელი, როგორც ეკონომიკის მთლიანი გამოშვების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, 2015 წელს შეადგენდა 193.6 მლნ ლარს, რაც 76%-ით აღემატება 2012 წლის მონაცემს.
2015 წელს აგროსასურსათო სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულება 4.3 მლრდ ლარს აჭარბებს. აგროსასურსათო სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების ზრდის მაჩვენებელი 2015 წლისათვის 2012 წელთან შედარებით - 31.4 %-ს. აგროსასურსათო სექტორის წილი ქვეყანაში შექმნილ მთლიან შიდა პროდუქტში 2015 წლის წინასწარი მონაცემებით, 15.7 %-ს შეადგენს, მაშინ, როდესაც იგივე მაჩვენებელი 2012 წელს 14.6 %-ს შეადგენდა.
2015 წელს, ბოლო ათწლეულის მანძილზე, სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეკორდულად მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. წინასწარი მონაცემებით, სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელდა 28.8 მლნ აშშ დოლარის ღირებულების პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, რაც 2012 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 1.8-ჯერ აღემატება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მაჩვენებელი ყველა გასული წლის მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აღემატება.
უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლიდან სახელმწიფოს მიერ ინიცირებული იქნა მთელი რიგი პროგრამები და პროექტები, რომლებიც ორიენტირებული იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. სოფლის მეურნეობის ბიუჯეტი მკვეთრად გაიზარდა და საერთო ბიუჯეტის 3%-ს მიაღწია. ყველა ამ პროგრამისა და პროექტის, ასევე მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებების გამო, რომელთაც ჰქონდათ ზეგავლენა სექტორზე მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში, საკმაოდ რთულია ცალკე გამოყოფილ იქნას მხოლოდ შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის პირდაპირი ზემოქმედება სექტორზე და იმის თქმა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის აღნიშნულ პროგრამას სოფლის მეურნეობის სექტორში მიღწეულ ზრდაში. თუმცა ცალსახაა, რომ პირდაპირი კავშირი არსებობს მოცემული პროგრამის მიერ აქტიურად დაფინანსებულ დარგებსა და ამ დარგებში მიღწეულ ზრდას შორის.
საინტერესო კავშირი შეიძლება დავინახოთ დარგების დაფინანსებასა და ამ დარგებში მიღწეულ შედეგებს შორის. მაგალითად, 2015 წლის წინასწარი მონაცემებით, ხორბლის მოსავლმა 94.7 ათასი ტონა შეადგინა, რაც 2012 წელთან შედარებით 17%-იან ზრდას წარმოადგენს. ყურძნის წარმოებაც საკმაოდ დიდი მოცულობით დაფინანსდა, ალბათ ამის შედეგია ის, რომ 2012 წელთან შედარებით, 17%-იანი ზრდა ფიქსირდება ყურძნის წარმოებაშიც, რამაც 2015 წელს შეადგინა 262.4 ათასი ტონა.
2015 წელს ასევე გაზრდილია პირუტყვის და ფრინველის სულადობა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება პროექტის დაწყებამდე არსებულ, ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით. 2015 წლის წინასწარი მონაცემებით:

- მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ 1.3 მლნ სული შეადგინა, რაც 2012 წლის მონაცემს 16.8%-ით აღემატება;
- ცხვრისა და თხის სულადობამ 950.5 ათასი სული შეადგინა, რაც 2012 წლის მონაცემს 28.0%-ით აღემატება;

[8] http://moa.gov.ge/Ge/Public/Annual/6

- ფრინველის სულადობამ 8.7 მლნ ფრთა შეადგინა, რაც 2012 წლის მონაცემს 41.9%-ით აღემატება;
- რძის წარმოებამ 663.6 მლნ ლიტრი შეადგინა, რაც 2012 წლის მონაცემს 12.6%-ით აღემატება;
- კვერცხის წარმოებამ 565.9 მლნ ცალი შეადგინა, რაც 2012 წლის მონაცემს 19.4%-ით აღემატება;

2015 წელს, საწარმოთა მიერ დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, განხორციელდა 2.6 მლრდ ლარის ღირებულების საკვები პროდუქტების წარმოება, რაც 32%-ით აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის დაწყებიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაუმჯობესებულია საგარეო ვაჭრობის მონაცემებიც. ისეთ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, როგორიცაა რუსეთი და უკრაინა, არსებული რთული ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, ასევე, აზერბაიჯანში, სომხეთში, ყაზახეთში და ბელარუსში არსებული სავალუტო კრიზისის მიუხედავად 2015 წელს, 2012 წელთან შედარებით, საქართველოდან აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი 19%-ითაა გაზრდილი.

2015 წლის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებულია 612.1 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია. აღნიშნულ პერიოდში, ქვეყნის მთლიან ექსპორტში აგროსასურსათო პროდუქციის ხვედრითი წილი 28%-ს შეადგენს. ძირითადად ექსპორტირებულია: თხილი (29%), ღვინო (16%), მინერალური და მტკნარი წყლები (13%), სპირტიანი სასმელები (11%), მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (3%), უალკოჰოლო გაზიანი სასმელები (3%), ცოცხალი ცხვარი (2%).

2015 წელს ევროკავშირში ექსპორტირებული აგროსურსათის ღირებულება 208 მლნ აშშ დოლარს შეადგენს და თითქმის 2-ჯერ აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს. რაღა თქმა უნდა, დიდი დამსახურება ამ ზრდაში მიუძღვის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას, მაგრამ არსებული 665 სასოფლო სამეურნეო საწარმოს
გაფართოება/გადაიარაღებამ და ახალი 139 საწარმოს გახსნამაც არანაკლები წვლილი შეიტანა ამ საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ 2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, აგროსასურსათო პროდუქციის საგარეო ვაჭრობის მონაცემების მიხედვით, უარყოფითი სავაჭრო სალდო გაიზარდა 3 %-ით, ის 2012 წელთან შედარებით შემცირებულია 35 %-ით.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ისეთი სტატისტიკა ქვეყანაში, რომელიც ცალსახა კავშირს ამყარებს დარგების დაფინანსებასა და გაზრდილ მაკრო-ეკონომიკურ მონაცემებს შორის, მაგრამ ამ დოკუმენტში გთავაზობთ არა სტატისტიკურ, არამედ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ჩვენეულ ხედვას.

6. პროექტის მიკრო ეკონომიკური შედეგების ანალიზი

შეღავათიანი აგროკრედიტის შედეგების მიკრო ეკონომიკური ანალიზის ჩასატარებლად შესწავლილ იქნა 8 ახალი საწარმო. აღნიშნული საწარმოების შერჩევის კრიტერიუმებს წარმოადგენდა:

- ახალი საწარმოს ბიზნეს გეგმის ზედმიწევნით დეტალური ცოდნა სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ;
- ახალი საწარმოებს უნდა ჰქონოდათ მინიმუმ ერთი სეზონი (თუნდაც ნაწილობრივ) ნამუშევარი, რაც გულისხმობს ნედლეულის მიღებას, პროდუქციის გამოშვებას და რეალიზაციას;

სწორედ ასეთი 8 ახალი საწარმო იქნა შერჩეული შეღავათიანი აგროკრედიტისა და გადამამუშავებელ საწარმოთა თანადაფინანსების პროექტების მიერ ერთობლივად დაფინანსებული 11 ახალი საწარმოდან. შერჩეული საწარმოებიდან 4 თხილის გადამამუშავებელია, 3 ხილის, ხოლო 1 რძის.

დარგი	სულ ინვესტირებული აშშ დოლარი	სესხის მოცულობა (მაქსიმუმ 50%) აშშ დოლარი	სახელმწიფო დაფინანსება (მაქსიმუმ 40%) აშშ დოლარი	მეწარმის საკუთარი წილი (მინიმუმ 10%) აშშ დოლარი
თხილის გადამუშავება	782,332	391,166	312,933	78,233
თხილის გადამუშავება	735,418	367,709	294,167	73,542
თხილის გადამუშავება	557,500	278,706	222,906	55,888
თხილის გადამუშავება	430,000	215,000	172,000	43,000
ხილის გადამუშავება	1,000,000	500,000	400,000	100,000
ხილის გადამუშავება	1,000,000	500,000	400,000	100,000
ხილის გადამუშავება	971,961	485,981	388,784	97,196
რძის გადამუშავება	446,780	223,390	178,712	44,678
სულ	5,923,991	2,961,952	2,369,502	592,537

თხილის გადამამუშავებელი 4-ვე საწარმო თავმოყრილია სამეგრელოს სხვადასხვა რაიონში, ხილის გადამამუშავებელი საწარმოებიდან 2 წარმოდგენილია გურიაში და ერთი აჭარაში, ხოლო რძის გადამამუშავებელი საწარმო დაფუძნდა ქვემო ქართლში.

აღნიშნულ საწარმოებში დასაქმდა სულ 393 ადამიანი, აქედან 321 მუდმივად. ყველა მათგანზე 2015 წელს გადახდილმა ხელფასებმა შეადგინა 456,433 ლარი, საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის სახით გადაირიცხა 79,563 ლარი, ხოლო დღგ-ს აქტივიდან გამოიქვითა 11,724 ლარი.

აღნიშნული საწარმოების მიერ 2015 წლის სეზონზე შესყიდულია 25 მლნ. ლარამდე ღირებულების ნედლეული, რაც საბოლოო ჯამში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შემოსავალს წარმოადგენს. შესყიდული ნედლეულის კატეგორიებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სხვადასხვა სახეობის ხილის შესყიდვა და გადამუშავება, ვინაიდან ახალი გადამამუშავებელი საწარმოების დაარსებამდე აღნიშნული ნედლეულის ჩაბარება და გადამუშავება არ ხდებოდა. ჩაბარებული ნედლეულის გადამუშავების შედეგად გამოშვებულ იქნა 2378 ტონა პროდუქცია, საიდანაც 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეალიზებული ან გადატვირთული იქნა 2,058 ტონა, დანარჩენი 320 ტონა საწყობში არსებულ ნაშთს წარმოადგენს ამ პერიოდისთვის.

პროდუქცია	წარმოებული პროდუქციის მოცულობა (ტონა)	ღირებულება დღგ-ს გარეშე (ლარი)
რეალიზებული პროდუქცია	2,058	25,694,202
საწყობში არსებული პროდუქცია	320	2,638,026
სულ	2,378	28,332,228

წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება შეადგენს 25,8 მლნ ლარს, ხოლო რეალიზაცებული ან გადატვირთული პროდუქციის ღირებულება 25,7 მლნ. ლარს. საწყობში არსებული პროდუქციის ნაშთის საბაზრო ღირებულება შეფასებულია 2,6 მლნ. ლარად.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ხელთ არსებული მონაცემებზე დაყრდნობით, ყველა ახალი საწარმო მოგებით დაასრულებს მიღებული ნედლეულის გადამუშავება/რეალიზაციის ციკლს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგ შემთხვევაში სეზონი არასრულად იქნა ჩატარებული ან დაგვიანებით იქნა დაწყებული.

აღნიშნული 8 ახალი საწარმოს თანადაფინანსებისთვის სახელმწიფოს მხრიდან ჩაიდო 2.4 მლნ. აშშ დოლარამდე, რაც ეროვნულ ვალუტაში დაახლოვებით 5.7 მლნ ლარია (31/12/2015-ს არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით). 8-ვე საწარმოზე გაცემული შეღავათიანი აგროკრედიტების ჯამურ პორტფელზე საპროცენტო ხარჯების დასაფარად სახელმწიფოს მხრიდან გადასახდელი თანხა შეადგენს 1.24 მლნ. აშშ დოლარს, რაც იგივე გაცვლითი კურსის შემთხვევაში დაახლოებით 3 მლნ

ლარია. ჯამში, 8 ახალი საწარმოს შექმნა სახელმშიფო ბიუჯეტს დაუჯდება 8.7 მლნ. ლარი. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ აღნიშნული საწარმოების თანადაფინანსება განხორციელდა მათი ბიზნეს-გეგმების დეტალური შესწავლისა და მრავალჯერადი განხილვის საფუძველზე. ბიზნეს-გეგმებში 5 წლიან პერიოდზე არის გაანგარიშებული საწარმოების შემოსავალ-გასავლები და ბიუჯეტში შესატანი გადასახადები, რომელთა ჯამური მოცულობა მომდევნო 5 წლის განმავლობაში 12.3 მლნ. ლარს შეადგენს.

საშემოსავლო გადასახადი	მოგების გადასახადი	დღგ	ქონების გადასახადი	სულ
1,345,669	4,596,039	6,046,444	308,804	12,296,957

თუ დავუშვებთ, რომ ბიზნეს-გეგმებში გათვალისწინებული გადასახადების მხოლოდ 50%-ის გადახდა მოხდება, მივიღებთ რომ მომდევნო 5 წლის განმავლობაში, ყველა სახის გადასახადის სახით სახელმწიფო ბიუჯეტი დიდი ალბათობით მიიღებს 6.15 მლნ. ლარამდე შემოსავალს. თუ აღნიშნულ თანხას გადავიანგარიშებთ 7 წელიწადზე, მივიღებთ, რომ გადახდილი გადასახადები ჯამში შეადგენს 8,6 მლნ ლარს. წარმოდგენილი დაშვებების მიხედვით სახელმწიფოს მიერ 8 ახალ საწარმოში ინვესტირებული თანხა უკუგებული იქნება გადასახადების სახით მაქსიმუმ 7 წელიწადში.

7. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის მსოფლიო ანალოგები

როგორც ცნობილია, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი ფერმერებს და აგრო მეწარმეებს სთავაზობს კრედიტის საპროცენტო ხარჯების თანადაფინანსებას და კრედიტის ძირითადი თანხის 50%-იან მეორად უზრუნველყოფას. პარალელურად, ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობის მიზნით სხვა სახელმწიფო პროექტები მეწარმეებს სთავაზობენ (ე.წ. საგრანტო) თანადაფინანსებას და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას, რომელიც გულისხმობს მიწისა და სხვა უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემას. ასევე არსებობს პროექტები ფერმერთა და აგრო მეწარმეების კოოპერაციის ხელშეწყობის მიზნით. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის სხვა ქვეყნების მსგავს პროგრამებთან შედარებისათვის შესწავლილ იქნა ამ მიმართულებით სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება, ისეთების როგორიცაა: ირლანდია, ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, პოლონეთი და ბულგარეთი.

ყველა ამ ქვეყნის მაგალითზე ცალსახად უნდა ითქვას, რომ მსოფლიო პრაქტიკა კარგად იცნობს სოფლის მეურნეობის დაფინანსების მსგავს მოდელებს, რომელსაც ქართული სახელმწიფო სთავაზობს საკუთარ ფერმერებსა და აგრო მეწარმეებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სოფლის მეურნეობის დაფინანსების ხელშეწყობა 1916 წლიდან დაიწყო და ორი მიმართულებით ხორციელდებოდა. პირველი ფერმერთა საკრედიტო სისტემაა (The Farm Credit System (FCS)), რომელშიც ერთიანდებოდა საკრედიტო კავშირები, ხოლო მეორე - სახელმწიფოს მიერ მართული ფერმერთა მომსახურების სააგენტო (The Farm Service Agency (FSA)). დღეს, FSA ისეთ ფერმერებზე გასცემს სუბსიდირებულ კრედიტებს, ვისაც ხელი ნაკლებად მიუწვდებათ საბანკო კრედიტებზე და/ან არ გააჩნია საკმარისი უზრუნველყოფა. FSA ერთ-ერთი მთავარი თავისებურება არის ინტენსიური მონიტორინგის პარალელურად, ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა.

საფრანგეთში შეღავათიანი აგრო კრედიტები 1990 წლამდე გაიცემოდა მხოლოდ კოოპერაციული ბანკის „კრედიტ აგრიკოლეს“ (Crédit Agricole) მეშვეობით. საფრანგეთის სოფლის მეურნეობის მოდერნიზების პერიოდში დახმარების ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენდა აგრო კრედიტებზე საპროცენტო ხარჯების სუბსიდირება. წარმატების გასაღებს ორი ასპექტი წარმოადგენდა: ხანგრძლივი საკრედიტო პროგრამები და ფერმერების ტექნიკური მხარდაჭერა, მათი სწავლება, საჭიროებების მუდმივი კვლევა.

პოლონეთი. პოლონეთის ამჟამინდელი სოფლის მეურნეობაზე ორიენტირებული საბანკო სისტემა შეიძლება ოთხ ჯგუფად დაიყოს (მსოფლიო ბანკი, 2000). სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის საბანკო სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია კოოპერაციული ჯგუფი. მასში ერთიანდებიან სასურსათო ეკონომიკის ბანკი (BGZ), რამდენიმე რეგიონული კოოპერაციული ბანკი, ასევე ადგილობრივი კოოპერაციული ბანკები. BGZ ახორციელებს რამოდენიმე პროგრამას, რომლებიც სოფლის მეურნეობაზეა მიმართული.

მეორე მნიშვნელოვანი ინსტიტუტი სასოფლო-სამეურნეო დაკრედიტების მიმართულებით არის ARMA (სოფლის მეურნეობის რესტრუქტურიზაციის და მოდერნიზაციის სააგენტო) - სახელმწიფო უწყება, რომელიც კომერციული ბანკების მიერ გაცემული სასოფლო-სამეურნეო სესხების საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირებას ახდენს. მესამე მნიშვნელოვანი ინსტიტუტი პოლონეთის სახელმწიფო შემნახველი ბანკია (PKO BP). PKO BP-ს ამოცანაა შინამეურნეობისთვის მიზნობრივი სესხების გაცემა. და ბოლოს, ასევე არსებობს კომერციული ბანკები და კერძო არასაბანკო დაწესებულებები, რომლებიც კრედიტს გასცემენ თავიანთ მიმწოდებლებზე ან კლიენტებზე. კომერციული ბანკები უფრო და უფრო მეტად გასცემენ სესხებს მსხვილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და აგრობიზნესებზე. კრედიტის სხვა წყაროებად შეგვიძლია განვიხილოთ დიდი ფირმები, მაგ. ნედლეულის მომწოდებლები და გადამამუშავებელი კომპანიები (სუპერმარკეტების ჩათვლით), რომლებიც საკუთარ ბიზნეს პარტნიორებს სთავაზობენ სხვადასხვა სახის კრედიტებს.

ბულგარეთი. სოფლის მეურნეობის სექტორზე მორგებული სესხის პროექტი (ASAL) უფრო ეფექტური და მოქნილი სასოფლო-სამეურნეო სექტორის სწრაფ განვითარებას უჭერს მხარს, ბულგარეთის მთავრობის საშუალოვადიან პროგრამაში გაცხადებული პრინციპების შესაბამისად. რეფორმები განხორციელდება ისეთ სფეროებში, როგორიცაა ფასწარმოქმნა, მიკლევადობა, სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიები და დაფინანსება, მიწის ბაზრები, მარცვლეულის ბაზრები და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების პრივატიზაცია. რეფორმები ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანობის ზრდას ქვეყნის შიგნით, რადგან დაჩქარდება კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ბაზრის განვითარება, მნიშვნელოვნად შემცირდება სახელმწიფოს, როგორც მარკეტინგისა და გადამუშავების სფეროებში შუამავლის როლი, საფასო და სავაჭრო კონტროლის გაუქმების შედეგად შეიქმნება უფრო წამახალისებელი გარემო, და შემცირდება სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირებული სესხების გაცემა. ეს სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას შემოსავლების გამომუშავების უფრო მეტ შესაძლებლობებს შეუქმნის, ასევე წვლილს შეიტანს სოფლად სამუშაო ადგილების შექმნაში და ცხოვრების სტანდარტის ამაღლებაში. მომხმარებლებს შეეძლებათ გაუმჯობესებული ხარისხის და ადვილად ხელმისაწვდომი პროდუქტი მიიღონ, გაიზრდება პროდუქციის არჩევანი. ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები, უპირველეს ყოვლისა, არის ძალაუფლების მქონე დაინტერესებული ჯგუფების პოლიტიკური წინააღმდეგობა, მეორე მხრივ კი ის, რომ პროგრამას შეიძლება საფრთხე შეუქმნას მაკროეკონომიკურმა გარემომ.

ირლანდია. საინტერესო და გასაზიარებელია ირლანდიაში არსებული პრაქტიკა სოფლის მეურნეობის დაფინანსების კუთხით, ვინაიდან ერთის მხრივ ირლანდია წარმოადგენს მცირე ზომის განვითარებულ სახელმწიფოს და მეორეს მხრივ, სხვა ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით, ირლანდიაში არ არსებობდა სახელმწიფო განვითარების ბანკი, რომელიც ბიზნესის დაფინანსებას მოახდენდა ფინანსური კრიზისის განმავლობაში.

მას შემდეგ, რაც ირლანდია 2013 წლის ბოლოს ევროკავშირის/მსოფლიო სავალუტო ფონდის პროგრამას გამოეთიშა, ირლანდიის პრემიერ-მინისტრი და კანცლერი მერკელი შეთანხმდნენ, რომ ირლანდიურ მცირე და საშუალო საწარმოებს გერმანის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (Kreditanstalt für Wiederaufbau (KfW)) დააფინანსებდა. სწორედ ამ შეთანხმებამ გამოიწვია ირლანდიის სტრატეგიული საბანკო კორპორაციის (SBCI) შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა, რომ მომავალში ირლანდიული საწარმოებისთვის გრძელვადიანი შეღავათიანი დაფინანსება იქნებოდა ხელმისაწვდომი.
SBCI-ის შექმნისთვის საჭირო მექანიზმების შესამუშავებლად ფინანსთა დეპარტამენტი და ეროვნული ხაზინის მართვის სააგენტო 2014 წლის განმავლობაში მუშაობდნენ. KfW-დან მიღებული საწყისი დაფინანსების საფუძველზე, პროექტის გუნდმა მოიძია დამატებითი დაფინანსების წყაროები ევროპის საინვესტიციო ბანკისა (EIB) და ირლანდიის სტრატეგიული საინვესტიციო ფონდის (ახლადშექმნილი ფონდი, სადაც „ეროვნული საპენსიო რეზერვების ფონდის“ აქტივები გადაირიცხა) სახით. მთავრობამ ეს მიდგომა მოიწონა და 2014 წლის ივლისში ირლანდიის საკანონმდებლო ორგანომ მიიღო კანონმდებლობა, რომელიც SBCI-ის შექმნის შესაძლებლობას იძლეოდა.

SBCI-ის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს აგრარული საინვესტიციო სესხების გაცემა. წარმოგიდგენთ აღნიშნული სესხების დეტალურ აღწერას:

სასოფლო-სამეურნეო საინვესტიციო სესხები ქვემოთ აღწერილი მახასიათებლებით ხელმისაწვდომია პარტნიორი საფინანსო ინსტიტუტებისგან, ამ საფინანსო ინსტიტუტების საკრედიტო სტრატეგიების და პროცედურების შესაბამისად.

პროდუქტის მახასიათებლები:

- ხელმისაწვდომია სასოფლო-სამეურნეო მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებიც ჩართულნი არიან პირველად სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავებაში, ან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მარკეტინგში.
- უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთები
- სესხის ოდენობა 5 მილიონ ევრომდე
- სესხის მინიმალური ვადა 2 წელი

ამას გარდა, საფინანსო ინსტიტუტების საკრედიტო სტრატეგიის და პროცედურების გათვალისწინებით, შესაძლებელია შემდეგი პირობებით სარგებლობაც:

- მოქნილი დაფარვის გრაფიკი
- სესხის ვადა 10 წლამდე
- სესხის ხანგრძლივობის დადგენა ინვესტიციის სასიცოცხლო ციკლის შესაბამისად.

მაგალითი

რძის პროდუქტების მწარმოებელ ფერმერს ირლანდიის ქალაქ ტიპერარიდან ესაჭიროება ახალი საწველი დანადგარი ფერმის პროდუქტიულობის ასამაღლებლად. ახალი საწველი მანქანა-რობოტი 130,000 ევრო ღირს, დამონტაჟების ჩათვლით. მისი ექსპლუატაციის ვადა 15-20 წელია.

აღნიშნულ სიტუაციაში, SBCI-ის მონაწილეობის გარეშე, ბანკმა შეიძლება დაამტკიცოს ვადიანი სესხი 130,000 ევროს ოდენობით, სტანდარტული სასოფლო-სამეურნეო ვადიანი სესხის განაკვეთით, რაც 6.95 პროცენტს შეადგენს. ხოლო SBCI-ის მონაწილეობით საპროცენტო განაკვეთი შემცირდება და ბანკი სესხს დაამტკიცებს უფრო დაბალი, მაგალითად, 5%-იანი განაკვეთით. SBCI-ის სესხის შემცირებული ღირებულება ქვემოთაა ილუსტრირებული:

	არსებული სესხი	SBCI სესხი
სესხის ოდენობა	€130,000	€130,000
საპროცენტო განაკვეთი	6.95%	5.00%[9]
სესხის ვადა	7 years	7 years
ყოველთვიური შენატანი	€1,959	€1,837
სესხის სრული ღირებულება	€34,545	€24,342

8. დასკვნები და წინადადებები

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის საწყის ეტაპზე პროექტის წარმატების ინდიკატორების განსაზღვრა შეუძლებელი იყო რამოდენიმე მიზეზის გამო, ესენია:

- სახელმწიფოს მხრიდან დარგების დაფინანსების შეუზღუდაობა, (უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა), რაც საშუალებას აძლევდა ბანკებს თითქმის ყოველგვარი დარგობრივი შეზღუდვის გარეშე გაეცათ სესხები;

[9] SBCI-ის სავარაუდო ნომინალური განაკვეთი. SBCI-ის განაკვეთი შეიძლება განსხვავებული იყოს სხვადასხვა პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტის შემთხვევაში, ასევე სესხის მოცულობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ყოველთვიური შენატანი დათვლილია უცვლელი ოდენობის გადახდების და მუდმივი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

- სესხების გაცემის შეუზღუდაობა დანიშნულების მიხედვით, რაც განაპირობებდა სესხების გაცემის შესაძლებლობას როგორც საბრუნავი ისე ძირითადი საშუალებების შეძენის მიძნით;
- სესხის გაცემის პროცესში სახელმწიფოს ჩაურევლობა. აღნიშნულით ბანკებს სრული უფლება ქონდათ საკუთარი შეხედულებებისამებრ გაეცათ სესხები ნებისმიერ, მათთვის
- სასურველ კლიენტზე, იქნებოდა ეს ფიზიკური თუ იურიდიული პირი, გადასახადის გადამხდელი თუ არა.

გამომდინარე აქედან, პროექტის წარმატების ერთადერთ ინდიკატორად პროექტის საწყის ეტაპზე დადგენილი იყო ქვეყანაში არსებული აგრო კრედიტების ჯამური პორტფელის ზრდა, რაც ნამდვილად შესრულდა.

პროექტის დასაწყისში სხვა ინდიკატორების არ არსებობის მიუხედავად, 31/12/2015-ის მდგომარეობით სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში და/ან კონკრეტულ საწარმოებში, როგორც დარგობრივ, ასევე საწარმოო დონეზე შედეგები მნიშვნელოვნად შეცვლილია უკეთესობისკენ (ob. დანართი 3):

- პროექტის შედეგად გაუმჯობესდა როგორც პირველადი წარმოება, ასევე მოსავლის შემდგომი შენახვა/გადამუშავების ინფრასტრუქტურა;
- გაიზარდა სოფლის მეურნეობაში მოზიდული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა;
- წახალისებული იქნა ასევე ადგილობრივი ინვესტიციების ზრდა სოფლის მეურნეობაში;
- გაიზარდა აგრობიზნესის პროდუქციის მთლიანი გამომუშავება;
- შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები;
- გაიზარდა აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები;
- შემცირდა აგროსასურსათო პროდუქტების იმპორტი;
- შემცირდა აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის უარყოფითი სალდო;
- გაიზარდა სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ცხოველებისა და ფრინველის სულადობა, ასევე ფუტკრის ოჯახების ოდენობა;
- და რაც ყველაზე მთავარია, დახარჯული საბიუჯეტო დაფინანსება დაბრუნდება გადასახადების სახით მაქსიმუმ მომდევნო 7 წლის განმავლობაში.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის კვლევისას გამოიკვეთა საკითხები, რომლებსაც რეკომენდაციების სახით ვთავაზობთ პროექტის მესვეურთ. ჩვენის აზრით, მათი გათვალისწინება კიდევ უფრო მრავალმხრივს, მომხმარებელზე ორიენტირებულს და ეფექტურს გახდის პროექტს. ასევე გააადვილებს პროექტის ანალიზისა და შედეგების შეფასების პროცესს.

მოიხსნას შეზღუდვა სესხის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. მაგალითად, სესხის გაცემა დასაშვები იყოს 7 წელზე მეტი ვადით, რაც არ გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან საპროცენტო ხარჯების თანადაფინანსების ვადის გაზრდას დღეს არსებულთან შედარებით. მართალია გაიზრდება სახელმწიფოს მხრიდან პროცენტის თანადაფინანსების თანხა, მაგრამ არსებობს ამის დარეგულირების საშუალებაც - თანადაფინანსების წლიური საპროცენტო განაკვეთის შემცირება. ამგვარი ქმედება ხელს შეუწყობს მეწარმეებს მიიღონ საბანკო სესხები უფრო გრძელვადიანი პერიოდით და ისეთი ძირითადი აქტივების შექმნისთვის, რომლებიც 7 წლის განმავლობაში ვერ ახდენს სესხის ძირითადი თანხის დაფარვას, მაგრამ რეალურად წარმატებული ბიზნესის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელ აქტივებად მიიჩნევა ბანკების მიერ. მაგ.: მრავალწლიანი კულტურების გაშენება. ამ შემთხვევაში, ვერ ესწრება სესხის ძირის დაბრუნება 7 წელიწადში, მაგრამ მსხმოიარობაში შესვლიდან ყოველწლიურად ხდება მოსავლიანობის მატება და მეწარმე თავისუფლად შეძლებს როგორც სესხის ძირითადი თანხის, ასევე პროცენტის დაფარვას.

შეღავათიანი აგროკრედიტით დაფინანსდეს საწარმოები უფრო დახვეწილი მოდელების საშუალებით. მაგ: როგორიც ამჟამად არის მეცხოველეობის ძირითადი საშუალებებისთვის შემუშავებული. 2015 წლის ზაფხულში შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის დებულებაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც მეცხოველეობის ძირითადი საშუალებებისათვის სესხები გაიცემა მხოლოდ სააგენტოს მიერ დადგენილი მაღალპროდუქტიული ჯიშების შესყიდვისთვის და მხოლოდ სურსათის უვნებლობის სტანდარტების შესაბამისი შენობების აშენება-მოწყობისთვის. აღნიშნული ცვლილებით ბევრად უფრო დაკონკრეტდა და დაიხვეწა მეცხოველეობის მიმართულებით ძირითადი საშუალებების დაფინანსება.

სესხების გაცემა დახვეწილი მოდელების მიხედვით უკეთესად შეუწყობს ხელს:

- მაღალპროდუქტიული პირუტყვისა და მაღალმოსავლიანი ჯიშების გავრცელებას საქართველოში;
- მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის წარმოების დანერგვა/განვითარებას;
- ქვეყნის მასშტაბით უვნებელი სასოფლო სამეურნეო პროდუქციის და მათი გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტების წარმოებას;
- საექსპორტო დანიშნულების პირველადი და გადამუშავებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას;
- პირველადი მოხმარების, ძირითადი და შეუცვლელი, სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პროდუქტების (ხორბალი, ზეთი, რძე და სხვა) წარმოების განვითარებას;
- იმპორტირებული კვების პროდუქტების ჩამნაცვლებელი საწარმოების შექმნას და ა.შ.

გაუმჯობესდეს სტატისტიკის წარმოება როგორც მაკრო ეკონომიკურ დონეზე, ასევე საწამოების, რეგიონების, დარგებისა და საქმიანობების მიხედვით. მაკროეკონომიკური მონაცემების რეალურად აღრიცხვის მიზნით უპირველეს ყოვლისა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ეროვნული ბანკის, საქსტატისა და სააგენტოს მონაცემები. სულ მცირე, ეროვნულმა ბანკმა შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს სესხების აღრიცხვის კლასიფიკატორი, რომლის მიხედვიდაც ახდენენ კომერციული ბანკები რეპორტინგის წარმოებას.

დაზუსტდეს წარმოების გეოგრაფიული გადანაწილების სტატისტიკა. ამისათვის უნდა დადგინდეს საწარმოების საქმიანობის რეალური ადგილმდებარეობები, შესაბამისად, მათი ფაქტიური და იურიდიული მისამართები. ერთ რეგიონში საქმიანობის შემთხვევაში (მაგ.: მესაქონლეობის ფერმა მდებარეობს კახეთში, მაგრამ მეწარმის იურიდიული მისამართი რეგისტრაციის მიხედვით არის თბილისში) უმჯობესი იქნება მითითებული იქნას მეწარმის საქმიანობის ფაქტიური მისამართი, ხოლო თუ მეწარმე რამოდენიმე რეგიონში საქმიანობს (მაგ.: ყიდულობს ყურძენს სხვადასხვა რეგიონში), მაშინ მეწარმის გამოკითხვით ან სპეციალური ფორმის შევსებით უნდა მოხდეს რეგიონებში განხორციელებულ საქმიანობებზე გაცემული შეღავათიანი აგრო კრედიტის გადანაწილება. მსგავსმა გადანაწილებამ არ უნდა გამოიწვიოს სტატისტიკური მონაცემების აღრევა სხვა მიმართულებით (მაგ.: გაცემულ სესხების რაოდენობის დათვლისას). აღნიშნული რეკომენდაციის ნაწილია ასევე, რომ ეს ყოველივე არ იქნას გაკეთებული დიდი ადმინისტრაციული დანახარჯების გაწევის საფუძველზე.

დარგების (მიზნობრიობების) პარალელურად აღირიცხოს საქმიანობებიც. მაგ: ზუსტად აღირიცხოს მეცხოველეობაში ძირითად საშუალებებზე გაცემული სესხი რას მოხმარდა: პირუტყვი იქნა შეძენილი, შენობა იქნა აშენებული/კაპიტალურად გარემონტებული თუ მოწყობილობები იქნა გადაიარაღებული. სრული სურათის შექმნის მიზნით, დარგების დაფინანსება უნდა ჩაიშალოს იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად რა საქმიანობას ან საქმიანობებს მოხმარდა გაცემული შეღავათიანი აგროკრედიტი. მაგალითისათვის ავიღოთ მეცხოველეობის ძირითადი საშუალებების დაფინანსებისთვის გაცემული სესხის რეალური მიზნობრიობა. შესაძლებელია ასეთი სესხით დაფინანსებულიყო ფერმის მშენებლობა ან/და არსებული ფერმის შენობის კაპიტალური რემონტი ან/და პირუტყვის შეძენა ან/და მანქანა-დანადგარების შეძენა და ა.შ. ასეთი ტიპის სესხები სტატისტიკურ მონაცემებში აისახება ერთი სახელით „მეცხოველეობის ძირითადი საშუალებების

დაფინანსებისთვის გაცემული სესხი“. კამათს არ იწვევს, რომ ერთი მიზნობრიობის (იგივე დარგის) ქვეშ გაცემული სესხებით ყველა მიმართულების დაფინანსება მნიშვნელოვანია, მაგრამ სტატისტიკის წარმოების მიზნებიდან გამომდინარე უმჯობესია მიზნობრიობების აღრიცხვის პარალელურად პროგრამულად ან დეკლარაციის სახით ერთჯერადად აღირიცხებოდეს ასევე მიზნობრიობის ფარგლებში შესრულებული სამუშაოები და გაწეული ხარჯები. სააგენტო ამჯერად მსგავს ინფორმაციას აგროვებს დაფინანსებული ბენეფიციარების სატელეფონო გამოკითხვის საფუძველზე, ისიც კონკრეტული კატეგორიისა და მიზნობრიობის მქონე სესხებისთვის და არა ყველა სახის სესხისთვის.

მოზიდულ იქნას დამატებითი არასაბიუჯეტო დაფინანსება შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის გაფართოების მიზნით. იმისათვის, რომ პროექტის გაფართოება, განვითარება, დახვეწას შეეწყოს ხელი და ნაწილობრივ მაინც არ იყოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე, უმჯობესია გაზიარებულ იქნას ირლანდიის მაგალითი და საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციებიდან გრანტისა და გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი კრედიტების სახით მოძიებულ იქნას ფინანსური სახსრები. დღეს არსებული მოდელის ნაცვლად, რომელიც გულისხმობს აგროკრედიტების საპროცენტო ხარჯების დაფინანსებას სახელმწიფოს მხრიდან, შემუშავდეს ახალი მოდელი, რომელიც დამყარებული იქნება ბანკების მიერ დაბალპროცენტიანი სახსრების მოძიების ხელშეწყობაზე (სახელმწიფო უზრუნველყოფის მექანიზმის გამოყენებით), რომლებიც შემდგომში დაბალი პროცენტითვე გაიცემა ბანკების მიერ.